ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №25

ქ. თბილისი 26 ივნისი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, გიორგი ჩაჩანიძე, გია აბულაძე, მანუჩარ მახათაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: თ. ჯოჯუა, მ. კურცხალია, კ. ბერიშვილი, ალ. ჯობავა, თ. მურვანიძე, ნ. ლომინაძე, კ. მორჩილაძე, მ. კურცხალია, ზ. იმედაშვილი, კ. მორბედაძე, მ. ბუჯიაშვილი, ზ. გიგაური, გ. შელია, გ. ბუხუა, გ. კაპანაძე, ნ. სიხარულიძე, დ. ბასიაშვილი, მ. შამუგია, დ. ბასიაშვილი, მ. შამუგია, ი. გეფერიძე, ლ. კაპანაძე, მ. სირაძე, მ. ზვიადაძე, დ. თუთარაშვილი, გ. იასაღაშვილი, დ. მოსულიშვილი, ლ. კვეტენაძე, ა. ნარეკლიშვილი, ს. პაკსაშვილი, გ. ნადირაძე, რ. ნოდია, კ. აბულაძე, მ. ხუნდაძე, თ. ბეჟანიშვილი, გ. გიორგაძე, ჭ. ჭიაბრიშვილი, თ. მელაშვილი, პ. ზეინკლიშვილი, ვ. გიორგაძე, ლ. დავლაძე, დ. სარაჯიშვილი, ზ. მთვრალაშვილი, ალ. თავაძე, თ. ბურჯანაძე, გ. მუმლაძე, გ. ერაძე, დ. ბახრაძე, დ. სანაია, თ. დიასამიძე, ა. ლაბაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

21. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, I მიკრორაიონსა და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.009.044) მრავალბინიანი საოფისე–კომერციული შენობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – რ. ნოდია).

22. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – კ. აბულაძე).

23. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.02.444) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

(მოწვეული – მ. ხუნდაძე).

24. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის I მიკრორაიონში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩაზე, №1 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.010.007) ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – თ. ბეჟანიშვილი).

25. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულუას ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – გ. გიორგაძე, ჭ. ჭიაბრიშვილი).

ქ. თბილისში, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ

26. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის მეორე ჩიხის №25-ში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: № 01.12.04.002.012-ის მიმდებარედ) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

27. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის სატყეო უბანში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.20.01.139.080) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე 6, წინააღმდეგი 1.

22. კ. აბულაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – კ. აბულაძე. AR 1140081
დადგენილი პარამეტრები – კ2=1,8.
მოთხოვნილი პარამერები – კ2=3,7.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. **მიეცეს თანხმობა** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,7.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

23. მ. ხუნდაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.02.444) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ზ. ხუნდაძე. AR 1139759
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მერის 2011 წლის 26 დეკემბრის №3035 განკარგულებაში ცვლილების შეტანაზე. კერძოდ; პირველ პუნქტში ნაცვლად "სარაჯიშვილის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01/10/10/006/017)" დაფიქსირდეს "ვაშლიჯვარის ასასვლელში არსებულ ავტოსამრეცხაოს მიმდებარედ, სარაჯიშვილის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.10.006.049)".

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გოგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1378

« 5 » ივლისი 2013 წ.

ქ.თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 26 ივნისის სხდომის №25 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,7.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.“ ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE17LB0125152101628598.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი შუბლაძე

ქ. თბილისი 0160. ჭ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200